აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 16.08.2012, სარეგისტრაციო კოდი: 390050000.30.056.016021) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ტყის ფონდში მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მომზადება

ტყის ფონდში მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მომზადება მოიცავს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მომზადებას, მიწის ნაკვეთის სატაქსაციო დახასიათებას, სიტუაციური გეგმის მომზადებას, ხაზობრივი ნაგებობისათვის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მომზადებას და ხაზობრივი ნაგებობისათვის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სატაქსაციო დახასიათებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე

ჩაქვი,
2017 წლის 23 ივნისი
№47-უ.ს.რ.ს.